



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აკოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

დიზაინის ფაკულტეტი

მხატვრული მინა

პროგრამის ხელმძღვანელი :

თამარ გრიგოლია - პროფესორი,
მხატვრული მინის მიმართულების ხელმძღვანელი

დამტკიცებულია

თსსა დიზაინის საბჭოს მიერ

2023 წლის 5 აპრილის სხდომის ოქმი № 5

თსსა აკადემიური საბჭოს მიერ

2023 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი №23

პროგრამის სახელწოდება : 0214.1.1 მხატვრული მინა/Art Glass

ფართო სფერო (მიმართულება) : 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა) : 021 ხელოვნება Arts

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია) : 0214 გამოყენებითი ხელოვნება / (ხელნაკეთობა) Handicrafts

განათლების საფეხური : უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი (6)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ მინაში / Bachelor of Fine Arts in Glass Arts

ბაკალავრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნა : ბაკალავრიატის სრული კურსის წარმატებით გავლისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად ბაკალავრმა უნდა დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (გრანტის მოსაპოვებლად, ჩასაბარებელი საგნები პრიორიტეტის მიხედვით :

1. ქართული ენა და ლიტერატურა ; 2. უცხოური ენა ; 3. მათემატიკა ; 4. ისტორია.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს თსსა შემოქმედებითი ტური. ინფორმაცია შემოქმედებითი ტურის შესახებ ხელმისაწვდომია აბიტურიენტისათვის ტურის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე.

შემოქმედებითი ტურის დებულება იხ. თსსა ვებგვერდზე https://drive.google.com/file/d/14s8V8Pe_kHNyr9r7JjhgApk6i0kfybwy/view
ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით, კერძოდ,

I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/ სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე. იხ. თსსა ვებგვერდზე <https://drive.google.com/file/d/1oHolwvwz6ZS2QpNDPetCuWV-9IuQVZnAg/view>

სწავლების ენა - ქართული

სწავლის ხანგრძლივობა : 4 წელი (8 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი (ECTS), მათ შორის :

- სპეციალობის დისციპლინები - 140 კრედიტი
- საბაზისო საგანი - 18 კრედიტი
- საუნივერსიტეტო - 36 კრედიტი
- არჩევითი დისციპლინები - 46 კრედიტი

1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.

ერთი აკადემიური წელი - 2 სემესტრი, კრედიტის მოცულობა - 60 (ECTS)

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა

1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს, აქედან, სააუდიტორიო მეცადინეობები - 15

სასწავლო კვირა (16,17,18 კვირა)

1 სემესტრის განმავლობაში - ერთი შუალედურის გამოცდა.

სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ - დასკვნითი გამოცდა.

დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილია - 2 კვირა და დამატებით გამოცდისათვის 1 კვირა

პროგრამის აღწერა

გამოყენებითი ხელოვნება/(ხელნაკეთობა) არის ვიზუალური ხელოვნების მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი. საქართველოში გამოყენებითი ხელოვნების/(ხელნაკეთობის) დარგებს მრავალ საუკუნოვანი ტრადიცია აქვთ და წარმოადგენს ქართული ულტურის მნიშვნელოვან შემადგენელს. გამოყენებით ხელოვნების მხატვრული მინის დარგში არსებობს კარგად ჩამოყალიბებული საყოველთაოდ აღიარებული ქართული ტრადიციული სკოლა. მოცემული სფერო მხატვრული მინა ეყრდნობა დარგის მდიდარ ეროვნულ და საერთაშორისო მხატვრულ ტრადიციებს, ითვალისწინებს სპეციალობის თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მიღწევებს. გულისხმობს მომიჯნავე დარგებთან (დიზაინი, არქიტექტურა და სხვა) პრაქტიკულ სინთეზს. მხატვრული მინის სფეროს მიმართულება მრავალფეროვანია და ემსახურება ისეთი სახელოვნებო ნამუშევრის პროდუქციის ნაკეთობის შექმნას, რომელიც ამა თუ იმ სახით უტილიტარული დეკორატიული მხატვრულ-ესთეტიური ფუნქციის მატარებელია. დისციპლინის სფერო წარმოადგენს უძველეს დარგს მინის მხატვრული დამუშავებას. მინის მხატვრული დამუშავება გულისხმობს მხატვრულ-სადიზაინერო და სხვა და სხვა ტიპის ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების ერთიანობას. მინის დამუშავების

ტექნოლოგიურ პროცესებში შედის მინის მცირე ზომის პლასტიკა, მინის ქანდაკება, მინის ჩარჩოები, ფერწერული მინის პლასტიკები, სმალტა, კლასიკური ვიტრაჟი, ტიფანი (მოზაიკა ექსტერიერში ან ინტერიერში). ამ დარგის განვითარება სახავს დიდ პერსპექტივებს თანამედროვე არქიტექტურაში, ინტერიერში, ექსტერიერში, გამოყენებით სფეროში. პროგრამა ორიენტირებულია მხატვრული მინის დარგის სპეციალისტების აღზრდაზე, რომლებიც პროგრამის ფარგლებში ათვისებული ზოგად თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეძლებენ მხატვრული მინის სფეროში წარმატებულ საქმიანობას. ასევე, პროგრამა მოიცავს, როგორც ვიზუალური ხელოვნების საბაზისო კურსს (ხატვა,ფერწერა, ქანდაკება), აგრეთვე, ხელოვნების ისტორიის ზოგად თეორიულ კურსებს (მსოფლიო ხელოვნების ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია), ციფრულ ტექნოლოგიებს, ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ არჩევით საგნებს. პროგრამა განაპირობებს მხატვრულ-ესთეტიკური პრაქტიკული მუშაობის კომპლექსურ სინთეზს დარგობრივ თეორიულ ცოდნასთან. ამავე დროს კონცეფციის ჩამოყალიბებისა და მისი გამოყენების ჩანაფიქრის/იდეის გენერირებისთვის და მისი რეალიზებისთვის, რაც ვიზუალური ხელოვნების სწავლების საყრდენ ქვაკუთხედს წარმოადგენს. აგრეთვე პროგრამის შინაარსი განაპირობებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაზე არსებულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე. მხატვრული მინის საბაკალავრო პროგრამა ემსახურება ტრადიციისა და განვითარების სამომავლო ხედვას, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სხვა ფაქტორებს.

პროგრამის მიზანი

მოდერნიზებული, ხარისხობრივად გამართული საგანმანათლებლო დისციპლინების პრაქტიკაში განხორციელება, კერძოდ :

- თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე გამოყენებითი ხელოვნების დარგში ჩამოაყალიბოს შემოქმედი, რომლისთვისაც მხატვრული მინა მთავარი საკონტაქტო სფეროა და თვითგამოხატვის საშუალებაა, აგრეთვე გამოუმუშაოს პროფესიული კომპეტენციები მხატვრული მინის სფეროში.
- გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების ტექნიკით და ტექნოლოგიით შეიძლება იყოს არქაული, ტრადიციული ან თანამედროვე და მოიცავდეს, როგორც მცირე სერიულ, სტუდიურ, ასევე უნიკალურ ექსკლუზიურ საავტორო ხელოვნების ნიმუშებს, ინდივიდუალურ არტს: ინტერიერის და ექსტერიერის სივრცის ფუნქციონალურ ესტეტიკურ მოწყობას და დეკორირებას, სერიული წარმოებისთვის განკუთვნილ საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ნივთების დიზაინს
- მხატვრულ შემოქმედებითი პროცესი წარმართება უმთავრესად ხელით და ინდივიდუალურად მართვადი ხელსაწყოებით, რითაც ხელოვნების ეს დარგი იმიჯნება ინდუსტრიული მრეწველობისა და მასობრივი წარმოებისგან.
- სასწავლო - მეთოდური პროცესების სტუდიურ საპროექტო სწავლების პრინციპზე გადაყვანა (ექსპერიმენტული, ინდივიდუალური მიდგომა სასწავლო პროცესის დიდ ნაწილს უნდა მოიცავდეს)
- ფართო სპექტრის პროექტებისა და პროგრამების აპრობირება და გამჭირვალობა, ინოვაციური სივრცის შექმნა
- სასწავლო პროცესის გარდაქმნა უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძველზე
- სტუდენტთა პირადი აქტიურობის სტიმულირება, თვითსწავლის, დამოუკიდებელი ძიებების ნიჭის განვითარება

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია გამოყენებითი ხელოვნების / (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან. უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები ბრძანება MES 5 22 0000897354 12.08.2022) ოქმი გამოყენებითი ხელოვნების/ (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ).

• ცოდნა / გაცნობიერება

1. იცის მასალაში შესრულების თანამედროვე და ტრადიციული ტექნიკების გამოყენების მეთოდები
2. ახდენს შემოქმედებითი ჩანაფიქრის უტილიტარულ კონსტრუქციაში გადატანას.
3. მხატვრული მინის პროექტებში ითვალისწინებს დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, შესაბამისად, აცნობიერებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურობასა და მნიშვნელობას დარგის მდგრადი განვითარებისათვის. იყენებს ციფრულ გრაფიკასა და ციფრული ტექნოლოგიების მიღებული პროდუქციის ეფექტურად რეალიზებისათვის. ახდენს საავტორო ნიმუშის შექმნას კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით (3D, Adobe Photoshop, Adobe Illustrator და სხვ.)
4. ნამუშევრის პრეზენტაციის მომზადების პროცესში აცნობიერებს ახალი ინფორმაციის ან/და ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვან ეტაპებს, მზად არის განვითარებისათვის.

• უნარი

5. ითვალისწინებს მხატვრული მინის სფეროში არსებული სიახლეების ათვისებას, თანამედროვე საინფორმაციო და ინტერნეტის საძიებო სისტემების პროფესიული მიზნებისთვის გამოყენებას და თემის, იდეების, მოვლენების მხატვრულ ფორმაში განხორციელებისას მიზანშედეგობრივი ურთიერთკავშირების, ურთიერთმიმართებების ანალიზს.
6. მიღებული ცოდნის ფარგლებში ხელმძღვანელთან ერთად ითვალისწინებს მხატვრული მინის შემოქმედებითი, ტექნიკური, ტექნოლოგიური პრობლემის გადაჭრას და იყენებს საკუთარი სასწავლო თუ პროფესიული საქმიანობის დაგეგმვისას დროის რაციონალურად განაწილებას.
7. ხელოვნების ისტორიის ზოგადი ქრონოლოგიის, ვიზუალური კომპოზიციის საფუძვლების, მინის მასალასთან საბაზისო მეთოდებით მუშაობის მთავარი არსის აღქმის და განვლილ მასალაზე დაყრდნობით გონივრული დასკვნის საფუძველზე, საკუთარ საქმიანობაში სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების ან ქმედების მართებულად წარმართვა
8. აგებს კოლექტიური (შემოქმედებითი ჯგუფი, საერთო ექსპოზიცია) მუშაობისას კოლეგებთან გუნდური თანამშრომლობის კომუნიკაციას

• პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელობის, საზოგადოებაზე მისი ზეგავლენისა და შემოქმედების გააზრების, პროფესიული პასუხისმგებლობის განსაზღვრა. პროფესიულ საქმიანობაში გააზრებული ღირებულებების პრაქტიკულად აღსრულება.
10. ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საქმიანობაში ითვალისწინებს უსაფრთხოების ზომებს, ეკო-მეგობრულობის, უნარჩენო წარმოებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპებს
11. განსაზღვრავს თავისი სწავლის პროფესიული განვითარების საჭიროებებს და გეგმავს კარიერულ განვითარებას
12. ნაშრომის/პროექტის შემუშავებისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და აკადემიურ სტანდარტებს

სწავლება/სწავლის მეთოდები

თეორიული-პრაქტიკული, კომპლექსური (საგანმანათლებლო-შემოქმედებითი გუნდური და ინდ.პროექტები), პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სწავლება-სწავლების მეთოდები მიმდინარეობს შემდეგი ფორმატით : ლექცია, თეორია/ პრაქტიკა, ინტერაქტიული სწავლება, ინდივიდუალური ან/და ჯგუფური სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება , პრაქტიკული მეთოდები, ლაბორატორიული მეთოდი , სინთეზის მეთოდი, ანალიზის მეთოდი, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა :

სასწავლო კომპონენტის შეფასება ასეულიანია, მრავალკომპონენტური. შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება, სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს 2 გამოცდას :

- **შუალედური შეფასება** - 40 ქულა (მაქსიმალური)
- **დასკვნითი შეფასება** - 60 ქულა (მაქსიმალური)

სასწავლო კომპონენტის შეფასების საერთო ქულა - 100 ქულა (მაქსიმალური).

ქულები	შეფასება		შეფასების კვალიფიკაცია
91% - 100%	A	ფრიადი	დადებითი
81% - 90%	B	ძალიან კარგი	დადებითი
71% - 80%	C	კარგი	დადებითი
61% - 70%	D	დამკმაყოფილებელი	დადებითი
51% - 60%	E	საკმარისი	დადებითი
41% - 50%	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობითდამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება	უარყოფითი
0% - 40%	F	ჩაიჭრა (კურსი თავიდან უნდა გაიროს (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი დამას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)	უარყოფითი

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება :

შეფასების მეთოდებად გამოყენებული განვითარების დინამიკის მაჩვენებელი ინსტრუმენტი - პრეზენტაცია, პორტფოლიო, ექსპოზიცია, გამოფენა/შოუ, ინტერვიუ, რეფერატი და სხვ.

შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს : ვალიდურობას ; სანდოობას ; გამჭვირვალობას ; სამართლიანობას ; ობიექტურობას

საბაკალავრო ნაშრომი თვისობრივად წარმოადგენს სემესტრული სასწავლო პროცესის გაგრძელებას საბაკალავრო ნაშრომი სრულდება მე -VIII სემესტრში და მისი მოცულობა შეადგენს 20 კრედიტს. ფასდება ჩვეულ სემესტრულ ფორმატში, შუალედური შეფასების მეშვეობით. დასკვნითი გამოცდის ფორმატი - ექსპოზიცია (მასალაში შესრულებული ნაკეთობა და ნამუშევრის ანოტაცია), რომელიც ფასდება თსს აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებლებისაგან (დარგის წარმომადგენლებისაგან) შემდგარი კომისიის მიერ.

სტუდენტმა უნდა შეძლოს ნაშრომის საჯარო იდეის და მისი განხორციელების მკაფიო დასაბუთება-დაცვა. მოკლე წარდგინების ფორმით მოხსენებით გამოდის ასევე ნაშრომის ხელმძღვანელი.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

- ფორმისა და კონსტრუქციის შესაბამისობა ფუნქციასთან - 10 ქულა
- სწორი კონსტრუქციულ - ტექნოლოგიური გადაწყვეტა - 10 ქულა
- თემის კომპოზიციური გადაწყვეტა გარემოს შესაბამისობაში -10 ქულა
- მინის ნამუშევრის მთლიანი კომპლექტის ერთ სტილში გადაწყვეტა - 10 ქულა
- მინის ნამუშევრის ფერთი გადაწყვეტა - 10 ქულა
- ნამუშევრის შესაბამისობა თანამედროვე ტენდენციებთან და მოთხოვნებთან - 10 ქულა
- საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შედგენის სიზუსტე - 10 ქულა
- დეკორის ელემენტების მხატვრული დამუშავების ხარისხი - 10 ქულა
- ნამუშევრის მასალაში შესრულების ხარისხი და უსაფრთხოების ნორმების დაცვა - 10 ქულა
- პრეზენტაცია - 10 ქულა

დასაქმების სფეროები :

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მხატვრული მინის” კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს იმუშაოს სფეროს მიმართულებით ნებისმიერ შემოქმედებით გარემოში, მცირე და მასშტაბურ საწარმოში, ინდივიდუალურ ან/და სავაჭრო სივრცეებისთვის კერძო დაკვეთაზე, ასევე, დასაქმდეს საჯარო და კერძო სახელოვნებო ორგანიზაციებში, მათ შორის, სარეკლამო კომპანიებში, შეუძლიათ მხატვრული მინის სფეროს სხვადასხვა მიმართულებით მინის სახელოსნოების შექმნა. ჩაატარონ სტუდიური სამუშაოები, ვორქშოფები, მასტერკლასები დაინტერესებული აუდიტორისათვის.

პროგრამის სტრუქტურა (სემეტრების მიხედვით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა)

საგნების დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	EGTS
საბაზისო დისციპლინები	9	9							18
საუნივერსიტეტო დისციპლინები	12	12	6	6					36
არჩევითი დისციპლინები			9	9	12	10	3	3	46
სპეციალობის დისციპლინები	10	10	15	15	20	20	25	25	140
სულ	31	31	30	30	32	30	28	28	240

- პროგრამის სასწავლო გეგმა

საგნების დასახელება	ECTS / სთ	ლექცია (კვირა)	სთ/ლექცია	საკონტაქტო/სთ	არასაკონტაქტო/სთ	ლექცია-პრაქტიკუმი/სთ	შუალედური შეფასება (ეზი)/სთ	დასკვნითი გამოცდა/სთ
საბაზისო დისციპლინები								
ხატვა	3/75							
ხატვა	3/75							
ფერწერა	3/75							
ფერწერა	3/75							
გეომეტრიული მოდელირება /ზოგადი კურსი (ორთოგონალური გეგმილები, აქსონომეტრია, პერსპექტივი)	3/75	15	2	32	43		4	2
ინფორმაციული ტექნოლოგიები და საოფისი უნარები	3/75	15	2	33	42		4	3
სულ:	18							
საუნივერსიტეტო დისციპლინები								
ძველი სამყაროს ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
XVII-XIX სს-ის ევროპის ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
ახალი და უახლესი დროის ხელოვნება (XX-XXI სს)	3/75	15	2	33	42		4	3
წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა	3/75	15	2	33	42		4	3

უცხო ენა I	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა II	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა III	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა IV	3/75	15	2	33	42		4	3
ფილოსოფია	3/75	15	2	33	42		4	3
აკადემიური წერა	3/75	15	2	33	42		4	3
სულ:	36							
არჩევითი დისციპლინები								
სულ:	46							
სპეციალობის დისციპლინები								
კომპოზიციის საფუძვლები I	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა I	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიციის საფუძვლები II	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა II	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია-პროექტირება - 3DS MAX - I	10/250	15	12	184	66	180	2	2
მასალაში მუშაობა III	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია-პროექტირება 3DS MAX - II	10/250	15	12	184	66	180	2	2
მასალაში მუშაობა IV	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია-პროექტირება III	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა V	5/125	15	6	94	31	90	2	2
სპეც.პლასტიკა I	5/125	15	6	94	31	90	2	2
მინის ტექნოლოგია I	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია-პროექტირება IV	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა VI	5/125	15	6	94	31	90	2	2
სპეც.პლასტიკა II	5/125	15	6	94	31	90	2	2
მინის ტექნოლოგია II	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია-პროექტირება V	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა VII	5/125	15	6	94	31	90	2	2
სპეც.პლასტიკა III	5/125	15	6	94	31	90	2	2
მინის ტექნოლოგია III	5/125	15	6	94	31	90	2	2
ფიუზინგი	5/125	15	6	94	31	90	2	2
მინის მოსაპირკეთებელი მასალები-პრაქტიკული	5/125	15	6	94	31	90	2	2
საბაკალავრო ნაშრომი	20/500							
სულ	140							

- სასწავლო რუქა

საგნების დასახელება	კურსზე დაშვების წინაპირობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	EGTS
საბაზისო დისციპლინები		9	9							18
ხატვა	წინაპირობის გარეშე	3								
ხატვა	წინაპირობის გარეშე		3							
ფერწერა	წინაპირობის გარეშე	3								
ფერწერა II	წინაპირობის გარეშე		3							
ინფორმაციული ტექნოლოგიები და საოფისე უნარები	წინაპირობის გარეშე	3								
გეომეტრიული მოდელირება (ორთოგონალური გეგმილები, აქსონომეტრია, პერსპექტივი)	წინაპირობის გარეშე		3							
საუნივერსიტეტო დისციპლინები		12	12	6	6					36
ძველი სამყაროს ხელოვნება	წინაპირობის გარეშე	3								
შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხელოვნება	წინაპირობის გარეშე		3							
XVII-XIX სს-ის ევროპის ხელოვნება	წინაპირობის გარეშე			3						
ახალი და უახლესი დროის ხელოვნება (XX-XXI)	წინაპირობის გარეშე				3					
წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებ	წინაპირობის გარეშე	3								
ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება (XIX)	წინაპირობის გარეშე		3							
უცხო ენა I	წინაპირობის გარეშე	3								
უცხო ენა II	უცხო ენა I		3							
უცხო ენა III	უცხო ენა II			3						
უცხო ენა IV	უცხო ენა III				3					
ფილოსოფია	წინაპირობის გარეშე		3							
აკადემიური წერა	წინაპირობის გარეშე	3								
სპეც. არჩევითი დისციპლინები				9	9	12	10	3	3	46
ქანდაკება	წინაპირობის გარეშე									
ფიუზინგი	წინაპირობის გარეშე									
კულტურული ინოვაციები და მათი გამოყენების მექანიზმებ	წინაპირობის გარეშე									
ბიზნეს პროექტების მართვა/განხორციელება	წინაპირობის გარეშე									
სპეციალობის დისციპლინები		10	10	15	15	20	20	25	25	140
კომპოზიციის საფუძვლები I	წინაპირობის გარეშე	5								
მასალაში მუშაობა I	წინაპირობის გარეშე	5								
კომპოზიციის საფუძვლები II	კომპოზიციის საფუძვლები I		5							
მასალაში მუშაობა II	წინაპირობის გარეშე		5							
კომპოზიცია-პროექტირება - 3DS MAX -I	კომპოზიციის საფუძვლები II			10						
მასალაში მუშაობა III	წინაპირობის გარეშე			5						

კომპოზიცია-პროექტირება 3DS MAX - II	კომპოზიცია-პროექტირება 3DS MAX -I				10					
მასალაში მუშაობა IV	წინაპირობის გარეშე				5					
კომპოზიცია-პროექტირება III	კომპოზიცია-პროექტირება 3DS MAX - II				5					
მასალაში მუშაობა V	წინაპირობის გარეშე				5					
სპეც.პლასტიკა I	წინაპირობის გარეშე				5					
მინის ტექნოლოგია I	წინაპირობის გარეშე				5					
კომპოზიცია-პროექტირება IV	კომპოზიცია-პროექტირება III							5		
მასალაში მუშაობა VI	წინაპირობის გარეშე							5		
სპეც.პლასტიკა II	წინაპირობის გარეშე							5		
მინის ტექნოლოგია II	მინის ტექნოლოგია I							5		
კომპოზიცია-პროექტირება V	კომპოზიცია-პროექტირება IV								5	
მასალაში მუშაობა VII	წინაპირობის გარეშე								5	
სპეც.პლასტიკა III	წინაპირობის გარეშე								5	
მინის ტექნოლოგია III	მინის ტექნოლოგია II								5	
ფიუზინგი	წინაპირობის გარეშე								5	
მინის მოსაპირკეთებელი მასალები- პრაქტიკული	წინაპირობის გარეშე									5
საბაკლავრო ნაშრომი										20
სულ		31	31	30	30	32	30	28	28	240

• პროგრამის ადამიანური რესურსი :

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თსსა აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორები, მოწვეული პედაგოგები, მათ შორის :

№	პედაგოგი სახელი/გვარი	სტატუსი	დისციპლინა
1	თამარ გრიგოლია	პროფესორი	ფიუზინგი მინის მოსაპირკეთებელი მასალები-პრაქტიკული
2	მაია გაბადაძე	ასოცირებული პროფესორი	კომპოზიცია-პროექტირება V მასალაში მუშაობა VII საბაკლავრო ნაშრომი

3	მანანა ყიფიანი	ასისტენტ პროფესორი	კომპოზიციის საფუძვლები I მასალაში მუშაობა I კომპოზიციის საფუძვლები II მასალაში მუშაობა II კომპოზიცია-პროექტირება – 3DS MAX - I მასალაში მუშაობა III კომპოზიცია-პროექტირება – 3DS MAX - II მასალაში მუშაობა IV
4	ნინო სიხუაშვილი	ასისტენტ პროფესორი	კომპოზიცია-პროექტირება III მასალაში მუშაობა V კომპოზიცია-პროექტირება IV მასალაში მუშაობა VI საბაკალავრო ნაშრომი
5	ნანა ფარულავა	მოწვეული პედაგოგი	სპეც.პლასტიკა I სპეც.პლასტიკა II სპეც.პლასტიკა III
6	ნათია პაპიაშვილი	სასწავლო ოსტატი, მოწვეული პედაგოგი	მინის ტექნოლოგია I მინის ტექნოლოგია II მინის ტექნოლოგია III
7	ლიკა სარიშვილი	მოწვეული პედაგოგი	კომპოზიცია-პროექტირება – 3DS MAX - I კომპოზიცია-პროექტირება – 3DS MAX - II